ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD

CENN
Shaping the Future by Changing Today

წალკის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია

ესწალკაა
EMBRACETsalka

დოკუმენტი შემუშავებულია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CENN და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს. დოკუმენტი მომზადებულია პროექტის - ადგილობრივი ლიდერები მდგრადი განვითარებისათვის წალკის მრავალეთნიკურ მუნიციპალიტეტში („ეს წალკაა“) - ფარგლებში

დეკემბერი, 2019

შინაარსი

1. მეთოდოლოგია 4

2. ადგილობრივი განვითარების ჯგუფი – LAG 5

3. წალკის მუნიციპალიტეტის მიმოხილვა 8

3.1 მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება 8

3.2 რელიეფი და ლანდშაფტი 8

3.3 ჰიდროგრაფიული ქსელი 10

3.4 კლიმატი 10

3.5 ნიადაგსაფარი 11

4. წალკის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული და სოციალური მდგომარეობა 12

4.1 მოსახლეობა და დემოგრაფია წალკის მუნიციპალიტეტში 12

4.2 წალკის მუნიციპალიტეტის სოციალური მდგომარეობა 17

5. წალკის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საჭიროებების კვლევა 21

5.1 კვლევის შედეგები 21

5.2 დასკვნები და რეკომენდაციები 24

6. წალკის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის და კულტურული მემკვიდრეობის კვლევა 25

6.1 წალკის მუნიციპალიტეტის ტურისტული რესურსები 26

6.2 დასკვნები და რეკომენდაციები 27

7. მუნიციპალიტეტის გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები 29

8. მონიტორინგი და შეფასება 37

1. მეთოდოლოგია

ადგილობრივი განვითარების სტრატეგია არის წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის ხედვა მუნიციპალიტეტის განვითარებასთან დაკავშირებით. სტრატეგიის მთავარი მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება, სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა თანამონაწილეობრივი დაგეგმარების გზით. სტრატეგიის მოსალოდნელი შედეგებია: წალკის მუნიციპალიტეტში სიღარიბის დონის შემცირება, მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება და არსებული ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი გამოწვევების გადაჭრა.

სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგია ეფუძნება LEADER მიდგომასა და პრინციპებს, რაც გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების უკეთ შეფასებისა და წინა პლანზე წამოწევის თვალსაზრისით, სამუშაო პროცესში ადგილობრივთა მრავალმხრივი ჩართულობის უზრუნველყოფას. ასეთი მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული ამოცანის სწორად შესრულების მიზნით, სტრატეგიის შემუშავების პირველივე ეტაპზე, წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფს ჩაუტარდა ინტენსიური ტრენინგები LEADER პრინციპებზე დაფუძნებული ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავების მიმართულებით.

წალკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია მოიცავს ანალიტიკურ და სტრატეგიულ ნაწილს, მათ შორის, მონიტორინგს და შეფასებას. სტრატეგიის ანალიტიკური ნაწილი გულისხმობს წალკის მუნიციპალიტეტის რაოდენობრივ ანალიზს სხავადასხვა თემატური მიმართულებებით, რომელიც სტრატეგიის მომზადების პირველ ეტაპზე განხორციელდა CENN-ისა და პროექტის პარტნიორი ორგანიზაციების მიერ (GFA და IFLS) და მოიცავდა როგორც არსებული ლიტერატურის[1] მიმოხილვას, ასევე – საველე კვლევას. მუნიციპალიტეტის რაოდენობრივი ანალიზის გამყარების მიზნით ჩატარდა თვისებრივი კვლევა და დარგების მიხედვით შემუშვდა ე.წ. SWOT ანალიზი, სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლების მაღალი ჩართულობით. SWOT ანალიზში დეტალურად არის განხილული მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული სფეროები, რის შედეგადაც გამოიკვეთა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სამოქმედო არეალი.

წალკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ანალიტიკურ ნაწილს საფუძვლად დაედო პროექტის ფარგლებში შემუშავებული შემდეგი თემატური კვლევები:

- წალკის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული და სოციალური მდგომარეობა;
- წალკის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საჭიროებების კვლევა;
- წალკის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის და კულტურული მემკვიდრეობის კვლევა.

სტრატეგიული ნაწილი მოიცავს ანალიტიკური ნაწილიდან გამომდინარე გამოკვეთილ თემებსა და საჭიროებებს, რომელიც შეთანხმებულია LAG-ის მმართველ საბჭოსთან და, რომლის პრიორიტეტულობაც, ადგილობრივი განვითარების ჯგუფის სექტორულმა ჯგუფებმა აღიარა.

[2] საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027; საქართველოს რეგიონალური განვითარების პროგრამა; წალკის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პუბლიკაციები; სოციალური მომსახურების სააგენტოს პუბლიკაციები.

2. ადგილობრივი განვითარების ჯგუფი – LAG

წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი - LAG, არის საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც შედგება კერძო, სამოქალაქო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებისაგან და ეფუძნება ნებაყოფლობითი წევრობის პრინციპს.

LAG-ის წევრობა, შემადგენლობა (ორგანიზაციული სტრუქტურა), შერჩევის პროცესი, როტაციის პოლიტიკა და სხვა ინსტიტუციური საკითხები რეგულირდება LAG-ის წესდების მიხედვით. წესდების თანახმად, LAG-ს მართავს თავმჯდომარე, რომელიც აკონტროლებს მის საქმიანობას. თავმჯდომარეს დახმარებას უწევს ორი თანათავმჯდომარე. თავმჯდომარესა და თანათავმჯდომარეებს LAG-ის წევრები ირჩევენ.



LAG-ის საქმიანობა ემყარება LEADER მიდგომის შვიდ ძირითად პრინციპს:

„ეს წალკაა“ პროექტის ფარგლებში, თანამონაწილეობრივი მიდგომის გზით, LAG-ის ძირითადი მიზნები და ამოცანები განისაზღვრა, რისი საშუალებითაც შესაძლებელი გახდა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის განხორციელება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში LAG-ის ძირითადი მიზანი შემდეგი მიმართულებების ხელშეწყობაა:

- სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება;
- გარემოს დაცვა და მწვანე ეკონომიკა;
- ტურიზმისა და ბიზნესის განვითარება;
- ქალთა და ახალგაზრდების ჩართულობა;
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდები;
- ჯანდაცვა და სოციალური საკითხები;
- საჯარო მმართველობა;
- ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაცია.

„ეს წალკაა“ პროექტის ფარგლებში LAG ასრულებს შემდეგ ამოცანებს:

- განსაზღვრავს სოფლის განვითარებისასთვის საჭირო პრიორიტეტებს მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებისა და გამოწვევების ანალიზის საფუძველზე;
- ადგილობრივი თემის მოსახლეობასთან კონსულტაციის შედეგად ავლენს მოსახლეობის საცხოვრებელი გარემო–პირობების საფუძველზე განპირობებულ ადგილობრივ საჭიროებებს;
- ადგენს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას (LDS) ეროვნულ სტრატეგიებთან შესაბამისობაში;
- მოსახლეობას აწვდის სრულ და ყოვლისმომცველ ინფორმაციას ადგილობრივი განვითა-რების სტრატეგიის შესახებ;
- ავრცელებს ინფორმაციას საზოგადოებაში საგრანტო განაცხადების წარდგენის ყველა პროცედურის შესახებ და განმარტავს ამ პროცედურებს;
- ქმნის და უზრუნველყოფს საგრანტო პროექტების განხილვის, შეფასების, შერჩევის, განხორციელებისა და მონიტორინგის გამჭვირვალე და არადისკრიმინაციულ პროცედურებს.
- წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი თანამშრომლობს საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კერძო პირებთან.

მმართველმა საბჭომ, გენერალური ასამბლეის სექტორულ ჯგუფებთან ერთად, ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტები განსაზღვრა და საბოლოოდ ჩამოაყალიბა ის მიმართულებები, რომელიც პასუხობს წალკის მუნიციპალიტეტის გამოწვევებს და სრულად ასახავს მუნიციპალიტეტის საჭიროებებს.

ეს მიმართულებებია:

- სოფლის მეურნეობა (რეგიონალურ ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება);
- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
- არასასოფლოსამეურნეო საქმიანობების ხელშეწყობა;
- გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა;
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდები;
- ჯანდაცვა და სოციალური საკითხები;
- გენდერული თანასწორობა და ქალთა ინტეგრაცია.

3. წალკის მუნიციპალიტეტის მიმოხილვა

3.1 მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება

წალკის მუნიციპალიტეტი საქართველოს სამხრეთ–აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, ქვემო ქართლის რეგიონში. მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ბორჯომის, გორისა და კასპის მუნიციპალიტეტები, დასავლეთით – ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით – ნინოწმინდისა და დმანისის მუნიციპალიტეტები და აღმოსავლეთით – თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი. წალკის მუნიციპალიტეტის საერთო ფართობია 1,050,6 კმ2. იგი მდებარეობს ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქში, საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 1,400 მეტრია. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი წალკა.



3.2 რელიეფი და ლანდშაფტი

წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მორფოლოგიურ იერს, ძირითადად, ქმნის ვულკანური, ტექტონიკური, ეროზიული და პერიგლაციალური პროცესებით წარმოქმნილი რელიეფის ფორმები – საშუალო სიმაღლისა და რამდენადმე უფრო მაღლა აღმართული მთები, ვულკანური მწვერვალები, ტექტონიკური ქვაბულები, ანტიკლინური სერები, კანიონისებური ხეობები და სხვა.

ძირითადი ოროგრაფიული ერთეულებია:

1. წალკის ქვაბული – ზოგადი ოროგრაფიული თავისებურების თვალსაზრისით, წალკის ქვაბული ზ.დ. 1,500–1,900 მ. სიმაღლეზე მდებარე პლატოა. პლატოს საზღვრებში ნეოგენური ასაკის ვულკანური ლავების დანაოჭების შედეგად წარმოქმნილია ვიწრო ანტიკლინური სერები და შედარებით ფართო სინკლინური ტაფობები, რომელიც, მთლიანობაში, აღნიშნული ქვაბულის სტრუქტურულ რელიეფს ქმნის.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ქვაბულის ძირზე – ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით გადაჭიმული ანტიკლინური მაღლობი, ე.წ. „წალკის სერი". ეს უკანასკნელი რამდენიმე ადგილზე მდინარეებით არის გაკვეთილი და, ასეთ ადგილებში, სიღრმითი ეროზიის მოქმედების შედეგად კანიონისებური ხეობებია წარმოქმნილი. საერთოდ, კანიონისებური ხეობები წალკის ქვაბულში საკმაოდ ფართოდ არის განვითარებული. ეროზიული ჩაჭრის სიღრმე ამ კანიონებში, საშუალოდ, 30-50მ-დან 200-300მ-მდე აღწევს.

წალკის სერის პარალელურად, მისგან ორივე მხარეზე, განვითარებულია რამდენიმე ბრტყელფსკერიანი სინკლინური ტაფობი – ბეშთაშენი, კირიაკი, ბარეთი და სხვა. ეს ტაფობები ერთმანეთისგან გამოყოფილია მეორე რიგის ბეშთაშენის, ლივადის, ბარეთის, ქორსუს ანტიკლინური სერებით და ჯავახეთის ქედის ძირით. ყველაზე ვრცელია ბეშთაშენის ტაფობი (სიგრძე–22კმ.; სიგანე–9კმ.). ტაფობი შემოსაზღვრულია ჩრდილოეთიდან – წალკისა და ბეშთაშენის სერებით, სამხრეთიდან–ქორსუს ანტიკლინით და ჯავახეთის ქედის ძირით. ქვაბულის სამხრეთ–აღმოსავლეთ მხარეზე განლაგებულია ქორსუს და დაშბაშის ანტიკლინური სერები და მათ შორის მდებარე ეძანის სინკლინური ტაფობი. ამ ტაფობის ძირზე ზ.დ. 1,480–1,540 მ. სიმაღლეზე მდებარეობს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი წალკა.
წალკის ქვაბულის ნაწილია წალკის სერის ჩრდილოეთით მდებარე თრიალეთის ქედის ძირთან მიბმული დახრილზედაპირიანი ალუვიური ვაკე. იგი წარმოქმნილია თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობიდან, მდინარე ქციის და მისი მარცხენა შენაკადის, გუმბათის წყლის მიერ, ზედა პლიოცენ–მეოთხეულ პერიოდში გამოტანილი ალუვიონით.

2. თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ მონაკვეთის სამხრეთი ფერდობი: აღნიშნული ფერდობი საკმაოდ ინტენსიურად არის დანაწევრებული მდინარე ქციის მარცხენა შენაკადების ეროზიული ხეობებით, რომელიც ზოგან კანიონისებურ მორფოლოგიას ამჟღავნებს. ფერდობის საზღვრებში განვითარებულია ბრტყელი ან სუსტად დამრეცფსკერიანი ქვაბულები (რეხის, თარსონის, კაბულის და სხვ.).

3. ჯავახეთის ქედი: მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე ჯავახეთის ქედის მონაკვეთის თხემური ზოლის რელიეფში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აღმავალი ტექტონიკური მოძრაობებით, ფუძელავების ფენების ამობურცვის შედეგად წარმოქმნილი მცირე შეფარდებითი სიმაღლის, ფარისებური ზედაპირები. ასეთი ფარისებური წარმონაქმნები მოგვაგონებს პლატოებს, რომელთა ზედაპირიდან გუმბათისებური და კონუსისებური ვულკანები (დალიდაღი, გუმბათი და სხვ.) მხოლოდ 250–350 მეტრით არის ამაღლებული.

4. სამსარის ქედი: მუნიციპალიტეტის საზღვრებში შემოდის ამ ქედის ჩრდილო მონაკვეთის თხემი და აღმოსავლეთი ექსპოზიციის კალთები. რელიეფის მსხვილი ფორმებიდან აღსანიშნავია მეოთხეული პერიოდის ლავებით აგებული კონუსური და გუმბათური ვულკანური მწვერვალები (სამსარი, თავკვეთილი, პატარა შავნაბადა კარგად გამოსახული კრატერით, დიდი შავნაბადა და სხვ.). ვულკანების კალთების შუა და ქვედა ნაწილების საკმაოდ ვრცელი უბნები დაფარულია „ყინვითი გამოფიტვის" შედეგად წარმოქმნილი ლავის ლოდებით – ე.წ. „ქვის ზღვებით" (ქართულ ენაზე კარკნალი ეწოდება.). სამსარის ვულკანის კალთებზე შემორჩენილია ძველი გამყინვარების კვალი ცირკებისა და კარების სახით.

წალკის მუნიციპალიტეტში გავრცელებულია ლანდშაფტის შემდეგი სახეები:

- მთის ლავური პლატო;
- მთის სტეპის მცენარეულობა და შავმიწა ნიადაგები;
- მთისწინეთი გასტეპებული მდელო და შავმიწისებრი ნიადაგები;
- მთის გასტეპებული სუბალპური მდელო, შავმიწისებრი ნიადაგები;
- სუბალპური მდელო, მთის მდელოს კორდიანი და კორდიან-ტორფიანი ნიადაგები;
- ალპური მდელოები, მთის მდელოს მცენარეულობით და პრიმიტიული კორდიან- ტორფიანი ნიადაგები;
- საშუალო მთები ფოთლოვანი ტყეებით.

3.3 ჰიდროგრაფიული ქსელი

წალკის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელით. აქ გაედინება მრავალი დიდი თუ პატარა მდინარე – უფრო მცირე შენაკადებით.

მთავარი მდინარეა ქცია, რომელიც ბორჯომის მუნიციპალიტეტიდან შემოედინება და თან ახლავს მრავალი პატარა შენაკადი: ჭოჭიანი, ოზნი, ნაროვანი, გუმბათი და სხვა.

სინკლინური ტაფობების ძირზე, აგრეთვე ვულკანური ქანების ეროზიით წარმოქმნილ დეპრესიებში, საკმაოდ ბევრი პატარა ტბაა (ბარეთი, ლელიანი, გრძელი ტბა, უზუნგოლი და სხვა). ტბები მოკლებულია იქთიოფაუნას, ზოგან, ტბების ნაპირების გასწვრივ, ჭაობის მცენარეების (ლელი, ლაქაში და სხვ.) მცირე შალდამია განვითარებული.

ჰიდროგრაფიული ქსელის მნიშვნელოვანი ობიექტია წალკის (ხრამჰესის) ხელოვნური წყალსაცავი. წყალსაცავი შეიქმნა ლავურ სერში, მდინარე ქციის ეროზიული მოქმედების საფუძველზე ჩაჭრილ ვიწრო და ღრმა კანიონის ბეტონის კაშხლით გადაკეტვის შედეგად. წყალსაცავს უკავია ბეშთაშენის სინკლინური ტაფობის აღმოსავლეთი ნაწილი, ზ.დ. 1,510 მ. სიმაღლეზე. წყალსაცავი, სადერივაციო გვირაბის მეშვეობით, ჰიდროელექტროსადგურების – ხრამჰესი I და ხრამჰესი II კასკადს ემსახურება.

წყალსაცავის მაქსიმალური სიღრმე 25 მეტრია, წყლის მაქსიმალური მოცულობა 312მლნ. მ3-ია. წყალსაცავის დონე სეზონურად ცვალებადია: იგი დაბალია თებერვალ–მარტში და მაღალია ივლისში. დონის რყევის ამპლიტუდა 9 მ-ს აღწევს, შესაბამისად, წყალსაცავის ფართობიც ცვალებადია: იგი იცვლება 5–30 კმ2 საზღვრებში. წყალსაცავის ნაპირები, დიდ ნაწილზე, სუსტად დამრეცი და დაბალია, მხოლოდ სამხრეთ–აღმოსავლეთ ნაპირია ციცაბო და მაღალი. წყალსაცავის სანაპირო აკვატორიაში, ზამთრობით, ყინულსაფარის წარმოქმნა შეინიშნება.

3.4 კლიმატი

ადგილობრივი მეტეოროლოგიური სადგურების (წალკა, ბარეთი, თრიალეთი და სხვ.) დაკვირვების მასალების გასაშუალოებული მონაცემების მიხედვით, ზ.დ. 1,500–1,800მ. სიმაღლემდე მდებარე ტერიტორიებისთვის დამახასიათებელია ზომიერად ნოტიო, მთის მდელო – სტეპისაკენ გარდამავალი კლიმატი, ცივი ზამთრით და შედარებით ხანგრძლივი, თბილი სეზონით. საშუალო წლიური ტემპერატურა 6°C-ია, ივლისისა –16°C, იანვრისა – 4.8°C, აბსოლუტური მინიმუმი – 34°C-ია, აბსოლუტური მაქსიმუმი კი - 33°C. ატმოსფერული ნალექების

საშუალო წლიური ჯამი 600–740მმ–ია. ნალექების მაქსიმუმი გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში მოდის, მინიმუმი – ზამთარში. სიმაღლის მატებასთან ერთად კლიმატი უფრო მკაცრი ხდება.

ზღვის დონიდან 2,200–2,300 მეტრ სიმაღლემდე დამახასიათებელია მაღალი მთისმდელო–სტეპების კლიმატი, ხანმოკლე, გრილი ზაფხულით და ხანგრძლივად ცივი, შედარებით მცირეთოვლიანი, ზამთრით. უფრო მაღლა კი მკაცრი, ნამდვილ ზაფხულს მოკლებული, კლიმატი იცის – თითქმის მთელი წლის მანძილზე, დაბალი ტემპერატურით და შედარებით მცირე ატმოსფერული ნალექებით.

3.5 ნიადაგსაფარი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ნიადაგსაფარი, მთის სხვადასხვა ტიპის შავი მიწებით არის წარმოდგენილი. ზ.დ. 1,800–1,900მ. სიმაღლემდე მდებარე, მდელოსა და სტეპის ბალახეული მცენარეულობით დაფარულ, ლავური პლატოების სინკლინურ ტაფობებში, განვითარებულია საშუალო (იშვიათად ძლიერი) ჰუმუსიანი მთის შავი მიწები (ჰუმუსის შემცველობა 5–7%). ამ ტიპის მთის შავი მიწების პროფილის ზედა ნაწილი უკარბონატოა, ან ნაკლებად კარბონატული. ნიადაგები ფუძეებით საკმაოდ გაჯერებულია, მდიდარია მცენარეებისათვის საჭირო საკვები ელემენტებით – პირველ რიგში აზოტით. შესაბამისად, აღნიშნული ნიადაგები მაღალი ნაყოფიერებით გამოირჩევა და, აგრონომიული თვალსაზრისით, მიწათმოქმედების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

რელიეფის სიმაღლის ზრდასთან ერთად იცვლება მთის შავი მიწების პროფილის სტრუქტურა, მცირდება ჰუმუსიანი ჰორიზონტის სისქე, მატულობს კარბონატულობა და კლებულობს ნიადაგის ნაყოფიერება. ზ.დ. 1,900 მეტრ სიმაღლეზე მაღლა მდებარე მთის შავმიწა ნიადაგებს თანდათანობით ცვლის მთის მდელო–სტეპის სხვადასხვა ხარისხით გამოტუტვილი, კორდიანი და შავმიწისებრი ნიადაგები. უფრო ზემოთ, 2,300–2,400 მეტრზე მაღლა, მთამდელოს კორდიან–ტორფიანი ნიადაგებია განვითარებული. ტბებისა და წყალსაცავის ნაპირების გასწვრივ, ასევე ზოგიერთი ნატბეურის ფსკერზე და დაშრობის პროცესში მყოფი ტბების მიდამოებში, ჭაობის გალებებული კორდიან–ტორფიანი ნიადაგების განვითარება აღინიშნება.

დმანისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების მომიჯნავე ტერიტორიებზე, ასევე წალკის წყალსაცავის ქვემოთ, მდინარე ხრამის ხეობაში, ფართოფოთლოვანი ტყით შემოსილ კალთებზე, ძირითადად, მცირე სისქის ტყის ყომრალი ნიადაგებია განვითარებული.

4. წალკის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული და სოციალური მდგომარეობა

4.1 მოსახლეობა და დემოგრაფია წალკის მუნიციპალიტეტში

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 19,400 კაცს შეადგენს. მათ შორისაა საქალაქო დასახლებაში მცხოვრები - 3,700 კაცი (19%), სასოფლო დასახლებაში მცხოვრები - 15,700 კაცი (81%). მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის დაახლოებით 51% ქალია, 49% კი – კაცი. მოსახლეობის სიმჭიდროვე არის - 19.8 კაცი/კმ2 (შიდა ქართლის აღნიშნული მაჩვენებელი 65,9 კაცი/კმ2).

მუნიციპალიტეტების მიხედვით, მოსახლეობის რაოდენობა და წილი ქვემო ქართლში (2019 წელი)			
№	**მუნიციპალიტეტი**	**ათასი კაცი**	**%**
ქვემო ქართლი სულ		**433**	**100%**
128	ქ. რუსთავი	**128**	**30%**
128	მარნეული	**107**	**25%**
128	გარდაბანი	**81**	**19%**
128	ბოლნისი	**55**	**13%**
128	დმანისი	**20**	**5%**
128	თეთრიწყარო	**22**	**5%**
128	წალკა	**19**	**4%**

წალკის მუნიციპალიტეტს მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისით, ყველაზე დაბალი წილი აქვს - ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 4%.

მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით, საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით, წალკის მუნიციპალიტეტში (ათასი კაცი)



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციის მიხედვით, წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 1994-2019 წლებში კლებადი ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად: თუ მუნიციპალიტეტში 1994 წელს ცხოვრობდა 49 ათასი კაცი, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2019 წელს 19,4 ათასი შეადგინა, (რაც 29,600 კაცით ნაკლებია).

წალკის მუნიციპალიტეტის მკვიდრთა რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით,1994-2019 წლებში (ათასი კაცი)



წალკის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის კლება, ძირითადად, 1994-2002 წლებში ფიქსირდება. ამ პერიოდის შემდგომ, 2002-2019 წლებში კი პირიქით, მართალია, მცირედით, მაგრამ იზრდება, რაც, ძირითადად, საქალაქო დასახლებებში მცხოვრებთა რიცხოვნობის ზრდის ხარჯზე ხდება. წალკის მუნიციპალიტეტში 1 ქალაქი, 2 დაბა, 30 თემი და 42 სოფელია.

წალკის მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულები და ძირითადი ეთნიკური ჯგუფები 2019 წელს[2]

№	ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი დასახლებები	ძირითადი ეთნიკური ჯგუფები
1	ავრანლო	სოფელი ავრანლო	ბერძენი 55%
2	არ-სარვანი	სოფელი არჯევან-სარვანი, ჩოლიანი, გოდაკლარი	აზერბაიჯანელი 99%
3	თეჯისი	სოფელი თეჯისი	აზერბაიჯანელი 99%
4	წალკა	ქალაქი წალკა, სოფელი ტბეთი	ქართველი 87%
5	კოხტა	სოფელი კოხტა, ხარება, ჩრდილისუბანი	ქართველი 86%
6	ბარეთი	სოფელი ბარეთი,ლივადი, იმერა, საბეჭისი	ქართველი 76%
7	ბეშთაშენი	სოფელი ბეშთაშენი, ახალშენი, სამადლო	ქართველი 73%
8	ბედიანი	დაბა ბედიანი, დაბა ხრამჰესი	ქართველი 48%
9	თრიალეთი	დაბა თრიალეთი, სოფელი კავთა	ქართველი 85%
10	წინწყარო	სოფელი წინწყარო, სოფელი სანტა	ქართველი 66%
11	სამება	სოფელი სამება	ქართველი 91%
12	გუმბათი	სოფელი გუმბათი	ქართველი 97%
13	საყდრიონი	სოფელი საყდრიონი	ქართველი 95%
14	განთიადი	სოფელი განთიადი	ქართველი 94%
15	ბერთა	სოფელი ბერთა	ქართველი 88%
16	რეხა	სოფელი რეხა	ქართველი 95%
17	ხანდო	სოფელი ხანდო	ქართველი 99%
18	არწივანი	სოფელი არწივანი	ქართველი 77%
19	ჩივთ-კილისი	სოფელი ჩივთ-კილისა, თამალა-ხარაბა	სომეხი 100%
20	აშკალა	სოფელი აშკალა	სომეხი 100%
21	აიაზმა	სოფელი აიაზმი	სომეხი 100%
22	ბურნაშეთი	სოფელი ბურნაშეთი	სომეხი 99%
23	დაშბაში	სოფელი დაშბაში	სომეხი 96%
24	დარაკოვი	სოფელი დარაკოვი	სომეხი 99%
25	კუში	სოფელი კუში	სომეხი 99%
26	კიზილ-კილისა	სოფელი კიზილ-კილისა	სომეხი 99%
27	კაბური	სოფელი კაბური	სომეხი 98%
28	ნარდევანი	სოფელი ნარდევანი	სომეხი 99%
29	ოზნი	სოფელი ოზნი	სომეხი 99%
30	ხაჩკოვი	სოფელი ხაჩკოვი	სომეხი 98%
			სულ: 44 დასახლება

[2] ინფორმაციის წყარო: წალკის მუნიციპალიტეტის მერია.

წალკის მუნიციპალიტეტის 30 ადმინისტრაციული ერთეულიდან, ეთნიკურად, ძირითადად, 15 სოფელია ქართველებით დასახლებული, აზერბაიჯანელებით – 2 სოფელი, ბერძნებით – 1 სოფელი და სომხებით – 12 სოფელი.



წალკის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციის მიხედვით, წალკის მუნიციპალიტეტის მკვიდრთა 48,2% ეთნიკურად ქართველია, 35,6% – სომეხია, 9,0% – აზერბაიჯანელია და 7,2% – ბერძენია.



წალკის მუნიციპალიტეტის სასოფლო დასახლებების დაჯგუფება მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით 2014 წელს (სულ 41 სოფელი)



წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის განაწილება ძირითადი ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით 2014 წელს



სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციის მიხედვით, წალკის მუნიციპალიტეტში ისეთი სასოფლო დასახლებების რაოდენობა, სადაც 201-500 მოსახლე ცხოვრობს, ყველაზე მეტია - 18 სოფელი, 501-1000 მოსახლით კი წარმოდგენილია 10 სოფელი. ისეთი სასოფლო დასახლებების რაოდენობა კი, სადაც 1001-2000 მოსახლეა, მუნიციპალიტეტში მხოლოდ ორია. წალკის მუნიციპალიტეტში 0-14 წლის მოსახლის წილი მთელ მოსახლეობაში 21.8 პროცენტია, შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) წილი - 65.5 პროცენტს აღწევს, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 12.7 პროცენტს შეადგენს.

4.2 წალკის მუნიციპალიტეტის სოციალური მდგომარეობა

სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციის მიხედვით, წალკის მუნიციპალიტეტში სოციალური პაკეტით მოსარგებლეთა რაოდენობა 2012-2018 წლების პერიოდში იზრდებოდა. 2013 წელს სოციალური პაკეტით ისარგებლა 480 კაცმა, 2018 წელს ამ რიცხვმა 555კაცს მიაღწია.

სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა წალკის მუნიციპალიტეტში (წლის ბოლოს)



სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციის მიხედვით, 2018 წლის პირველი დეკემბრის მდგომარეობით, ქვემო ქართლის რეგიონში, სოციალური პაკეტით მოსარგებლეთა რაოდენობა 13,995 ადამიანს შეადგენს. წალკის მუნიციპალიტეტიდან აღნიშნული პაკეტით 555 ადამიანმა (342 კაცი, 213 ქალი) ისარგებლა.

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა წალკის მუნიციპალიტეტში (2018 წლის პირველი დეკემბრის მონაცემები)		
№	**ბენეფიციართა ჯგუფი**	**რაოდენობა**
1	0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი	27
2	მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე შშმ პირი	87
3	მნიშვნელოვნად გამოხატული ხარისხის მქონე შშმ პირი	291
4	ზომიერად გამოხატული ხარისხის მქონე შშმ პირი	43
5	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პ	448
6	მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი	95
7	პოლიტიკურად რეპრესირებულები	1
8	სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებები	8
9	საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებები	3
10	სხვა	0
		სულ: 555

წალკის მუნიციპალიტეტში სოციალური პაკეტით ყველაზე ხშირად სარგებლობდა 50-59 წლის ასაკობრივი ჯგუფის (171 კაცი), შემდგომ – 0-17 ასაკობრივი ჯგუფის (122 კაცი), 19-39 ასაკობრივი ჯგუფის (109 კაცი), 40-49 ასაკობრივი ჯგუფის (98 კაცი) და 59 წელზე უფროსი ასაკობრივი ჯგუფის (55 კაცი) წარმომადგენლები.

პენსიის მიმღებთა რაოდენობა და გადარიცხული თანხა (2018 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით)			
№	ბენეფიციართა ჯგუფი	ბენეფიციართა რაოდენობა	გადარიცხული თანხა (ლარი)
1	ბოლნისი	10,037	1,813,216
2	გარდაბანი	12,320	2,236,212
3	დმანისი	4,250	772,920
4	თეთრიწყარო	4,390	796,140
5	მარნეული	15,213	2,758,862
6	რუსთავი	20,038	3,635,838
7	წალკა	4,121	763,164
	ქვემო ქართლი	**70,369**	**12 776 352**

2018 წლის 1 დეკემბრის მონაცემების მიხედვით, წალკის მუნიციპალიტეტში პენსიის მიმღებთა საერთო რაოდენობა 4,121 ადამიანს (ქალი - 2,813 და კაცი - 1,308) შეადგენს, რომლებმაც ჯამში 763,164 ლარი მიიღეს.

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე, სახელმწიფო პენსიის დანამატის მიმღებ პირთა რაოდენობა, წალკის მუნიციპალიტეტში, 2018 წლის 1 დეკემბრის მონაცემების მიხედვით 2,645 ადამიანს შეადგენს, საიდანაც 827 კაცია, 1,818 კი – ქალი. მათ ჯამში, დანამატის სახით, 95,364 ლარი მიიღეს.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციის მიხედვით, 2018 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტში მცხოვრები, დევნილის სტატუსის მქონე პენსიის მიმღებ პირთა რაოდენობა, 35 კაცს შეადგენდა, რომელთაც, ჯამში, 6,300 ლარი აქვთ მიღებული.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციის მიხედვით, ქვემო ქართლის რეგიონში, 2018-2019 სასწავლო წლისთვის, სულ 97 საჯარო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება იყო, აქედან წალკაში – მხოლოდ 3, სადაც 230 ბავშვია ჩართული.

მუნიციპალიტეტების მიხედვით წარმოდგენილი მონაცემები საჯარო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შესახებ (ქვემო ქართლი, სასწავლო წლის დასაწყისისთვის – ერთეული)				
№	მუნიციპალიტეტი	2018/2019		
		სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების რაოდენობა	ჩართულ ბავშვთა რაოდენობა	აღმზრდელ-პედაგოგი/ აღმზრდელი/ აღმზრდელის თანაშემწე
1	მარნეული	24	2699	151
2	ქ. რუსთავი	21	6241	448
3	თეთრიწყარო	16	711	52
4	ბოლნისი	15	1373	105
5	გარდაბანი	9	721	49
6	დმანისი	9	334	28
7	წალკა	3	230	14
8	**ქვემო ქართლი**	**97**	**12309**	**847**

რაც შეეხება სკოლებს, 2018-2019 სასწავლო წლისთვის, ქვემო ქართლში ფუნქციონირებდა 267 სკოლა, სადაც 69,606 მოსწავლე სწავლობდა. წალკაში, აღნიშნულ პერიოდში, 31 სკოლაში 2,889 მოსწავლე ირიცხებოდა.

მუნიციპალიტეტების მიხედვით წარმოდგენილი სკოლებისა და მოსწავლეების რაოდენობა ქვემო ქართლში (სასწავლო წლის დასაწყისისთვის, ერთეული)					
№	მუნიციპალიტეტი	სკოლების რაოდენობა		მოსწავლეთა რაოდენობა	
		2017/2018	2018/2019	2017/2018	2018/2019
1	მარნეული	75	76	18067	18347
2	გარდაბანი	36	36	12602	12840
3	ქ. რუსთავი	35	35	21422	21906
4	ბოლნისი	34	34	7721	7816
5	წალკა	31	31	2963	2889
6	დმანისი	27	27	2886	2894
7	თეთრიწყარო	28	28	2924	2914
8	**ქვემო ქართლი**	**266**	**267**	**68585**	**69606**

აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლის რეგიონში მხოლოდ რამდენიმე საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებს, თუმცა წალკის მუნიციპალიტეტში – არცერთი.

2017/2018 სასწავლო წლისთვის, რეგიონში 2 კერძო უმაღლესი სასწავლებელი იყო, წალკის მუნიციპალიტეტში კი – არც ერთი.

10 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება განათლების მიღწეული დონისა და დასახლების ტიპის მიხედვით (წალკის მუნიციპალიტეტი, 2014 წელი)



წალკის მუნიციპალიტეტში 10 წლისა და უფროსი ასაკის 16,122 კაცი ცხოვრობს, მათგან 9,4 პროცენტს მიღებული აქვს უმაღლესი (ბაკალავრის, მაგისტრის ან დოქტორის ხარისხი) განათლება. საქალაქო დასახლებებში უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის წილი 21.4 პროცენტია, ხოლო სასოფლო დასახლებებში - 7.0 პროცენტი.

მუნიციპალიტეტში არსებული საერთაშორისო მნიშვნელობის ასფალტბეტონის საავტომობილო გზის სიგრძე 52 კილომეტრია, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზაც (69 კილომეტრი), ანალოგიურად, ასფალტბეტონისაა. რაც შეეხება ადგილობრივი მნიშვნელობის გზას (სულ 75 კმ სიგრძის), იგი მხოლოდ მოხრეშილია.

მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის ექვსი სათავე ნაგებობაა (ოზნი, ნარდევანი, ბარეთი, არ–სარვანი, ბეშთაშენი, ხანდო, გუმბათი). წალკის მუნიციპალიტეტში, სოფელ დაშბაშში, არის ერთი წყალსაქაჩი, რომლის სიმძლავრე 75კვტ–ია.

წალკის მუნიციპალიტეტში გაზიფიცირებულია მხოლოდ ქალაქი წალკა, თუმცა, ელექტროენერგიის მიწოდების თვალსაზრისით, უზრუნველყოფილია წალკის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი ნაგავსაყრელია, რომლის საერთო ფართობი 5,000 კვ.მ–ია.

5. წალკის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საჭიროებების კვლევა

წალკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის მოსამზადებლად ჩატარდა „სოფლის მეურნეობის საჭიროებების კვლევა". აღნიშნული კვლევის მიზანს, წალკის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის დარგში არსებული მდგომარეობის ანალიზი და ადგილობრივი ფერმერებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების საჭიროებებისა და წალკის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის დარგის პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენა წარმოადგენს.

აღნიშნულ კვლევაში გათვალისწინებულია სამაგიდო კვლევა, რომელიც სტატისტიკური მონაცემებისა და, საერთაშორისო თუ დონორი ორგანიზაციების მიერ, სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზს მოიცავს. დოკუმენტი ეფუძნება აგრეთვე საველე კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების, ფოკუს–ჯგუფებისა და სატელეფონო გამოკითხვის შედეგებს.

კვლევის ძირითადი საკითხების გამოვლენისა და შეფასების მიზნით, გამოყენებულია როგორც ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდები, რომელიც არსებული ინფორმაციის სიღრმისეულ გაანალიზებას უზრუნველყოფს. შესაბამისად, აღნიშნული კვლევა წარმოადგენს რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტების სინთეზს.

5.1 კვლევის შედეგები
წალკის მუნიციპალიტეტის ზოგადი სასოფლო-სამეურნეო პროფილი

არსებული სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზისა და შესაბამისი ლიტერატურის გაცნობის საფუძველზე, სოფლის მეურნეობის შემდეგი ძირითადი მიმართულებები გამოიკვეთა: მესაქონლეობა, მეკარტოფილეობა, მარცვლეული კულტურები, მეფუტკრეობა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2018 წლის მონაცემების მიხედვით, სოფლის მეურნეობაში ჩართულია მთლიანი მოსახლეობის 43.1%, რომელიც ქმნის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 7.7%-ს. წალკის მუნიციპალიტეტში შინამეურნეობების 50%-ზე მეტი ჩართულია სოფლის მეურნეობაში. 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, წალკის მუნიციპალიტეტში 5,321 სასოფლო-სამეურნეო ერთეულია, საიდანაც 99.7% შინამეურნეობაა, ხოლო იურიდიული პირების რაოდენობა მხოლოდ 15–ია. თუ შევხედავთ წალკის მუნიციპალიტეტის ოჯახური მეურნეობების განაწილებას მეურნის სქესის მიხედვით, დავინახავთ, რომ 5,306 ოჯახური მეურნეობების 75%-ს მართავს მამაკაცი.

გრაფიკი 1. წალკის მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო პროფილი



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა.

ხელმძღვანელის ასაკის გათვალისწინებით ოჯახური მეურნეობების განაწილებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ოჯახური მეურნეობების 29%-ს მართავს 65 წელს გადაცილებული მეურნე. შემდგომ – 45-54 წლის ასაკობრივი ჯგუფის კატეგორია (22.2%), ხოლო იმ ოჯახური მეურნეობების რაოდენობა, რომელთაც 34 წლისა და უფრო მცირე ასაკის მმართველი ჰყავს, 618-ს (11.6%) შეადგენს.

მეურნის განათლების დონის მიხედვით ანალიზი გვიჩვენებს, რომ 5,306 ოჯახური მეურნეობიდან უმეტესობას სრული ზოგადი განათლების მქონე (3,196) მმართველი ჰყავს. უმაღლესი განათლება აქვს მათგან მხოლოდ 603-ს, პროფესიული განათლება კი - 575-ს.

ოჯახური მეურნეობების უმრავლესობა საკუთრებაში ფლობს მიწის ნაკვეთს, მეურნეობის სარგებლობაში არსებული ნაკვეთების საშუალო ფართობი 1.02 ჰა-ს შეადგენს. ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ოჯახური მეურნეობების ნაწილი სარგებლობს იჯარით აღებული მიწით. ოჯახური მეურნეობების უმრავლესობა ფლობს სახნავ მიწას, შემდგომ მოდის მეურნეობები ბუნებრივი სათიბებითა და საძოვრებით, მრავალწლოვანი ნარგავები და სათბურები კი მხოლოდ 37 მეურნეს აქვს

გრაფიკი 2. მეურნეობების რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო მიწით სარგებლობის ფორმების მიხედვით (ერთეული)



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა.

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემების მიხედვით, ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობებიდან ყველაზე დიდი ფართობი უკავია კარტოფილს, რომელიც 1,918 ჰა-ს შეადგენს. შემდგომ – ქერს და ხორბალს - 698 ჰა და 328 ჰა. ლობიოს, ბარდისა და შვრიის ნათესი ფართობი 286 ჰა, ხოლო სიმინდის ნათესი ფართობი - 18ჰაა. ოჯახური მეურნეობების რაოდენობის მიხედვით ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეკარტოფილეობაში ჩართულია 4,815 მეურნეობა, რომელიც მთლიანი რაოდენობის 90%-ს შეადგენს. მეკარტოფილეობასთან ერთად, წალკის მუნიციპალიტეტში ასევე გავრცელებულია მებოსტნეობა (2,718 მეურნეობა) და ქერის მოყვანა (1,329). რაც შეეხება სხვა ერთწლიანი კულტურების მოყვანას (ხორბალი, სიმინდი და საქონლის სხვა საკვები კულტურები), ამ მიმართულებებით მეურნეობების მხოლოდ მცირე ნაწილია დაკავებული.

წალკის მუნიციპალიტეტში მესაქონლეობას მისდევს 4,097 ოჯახური მეურნეობა, რაც მთლიანი რაოდენობის 78%-ს შეადგენს. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობამ 2014 წელს 28,038 სული შეადგინა, მათგან 15,909 ფურია. მუნიციპალიტეტში ოჯახური მეურნეობები დაკავებული არიან აგრეთვე მეცხვარეობითა (1,047 მეურნეობა) და მეთხევეობით (82 მეურნეობა). 2014 წელს ცხვრების რაოდენობამ შეადგინა 14,514, ხოლო თხების რაოდენობამ - 325. გარდა მესაქონლეობისა, ოჯახური მეურნეობები მისდევენ მეფრინველეობას, თუმცა აღნიშნული დარგი არ წარმოადგენს შემოსავლის ძირითად წყაროს.

გარდა ზემოხსენებული მიმართულებებისა, წალკის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეფუტკრეობა. მიუხედავად იმისა, რომ მეფუტკრე მეურნეობების რიცხვი, 2014 წლის მონაცემების მიხედვით, 140-ია და აქედან უმეტესობას (65 მეურნეობა) ჰყავს ფუტკრის 1-4 ოჯახი, აღნიშნულ დარგს აქვს განვითარების პოტენციალი. კვლევის პროცესში, პირველადი მონაცემების შეგროვების დროს, გამოიკვეთა ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელიც წალკის მუნიციპალიტეტში მეფუტკრეობის განვითარების შესაძლებლობას იძლევა (მაგალითად, ბუნებრივი პირობები).

წალკის მუნიციპალიტეტში, 2014 წელს, მეურნეობების რაოდენობამ სარწყავი მიწით შეადგინა 48, რომელთა უმრავლესობის მიწის ფართობი არ აღემატება 0.2 ჰა-ს. ამავე დროს, მეურნეობების დიდ ნაწილს არა აქვს გამართული საირიგაციო სისტემა, ამიტომ საკუთარი ძალებით ახერხებს მიწის მორწყვას. მაგალითად, 2014 წელს, 841-მა მეურნეობამ მორწყო მიწა და აქედან 564 ფლობდა 0.1 ჰა-მდე მიწის ფართობს. ეს მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ მიწის მორწყვას მხოლოდ მცირემიწიანი მეურნეობები ახერხებენ და ისიც მხოლოდ - საკუთარი ძალებით.
სტატისტიკური მონაცემების დამუშავების საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ წალკის

მუნიციპალიტეტში ოჯახური მეურნეობები აქტიურად იყენებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და მოწყობილობებს. მაგალითად, 2014 წელს, ტრაქტორი გამოიყენა 4,194 მეურნეობამ, რაც მთლიანი რაოდენობის 79%-ს შეადგენს. ხელის ტრაქტორი გამოიყენა 1,057-მა, მიწის დასამუშავებელი მოწყობილობები - 3,590-მა და სატვირთო ავტომობილი - 3,924-მა მეურნეობამ. უნდა აღინიშნოს, იმ მეურნეობებიდან, რომელმაც ტრაქტორი გამოიყენა, მხოლოდ 7% ფლობს ტრაქტორს საკუთრებაში. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტრაქტორების რაოდენობიდან (318 ტრაქტორი) 296 არის მუშა მდგომარეობაში (93%).

5.2 დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევამ აჩვენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტში ფერმერები განსხვავდებიან სამუშაო გამოცდილებით და ერთდროულად ჩართული არიან სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა მიმართულებით. რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის საფუძველზე რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება გამოიყო: მესაქონლეობა, მეკარტოფილეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა, მარცვლეული კულტურები.

ფოკუს–ჯგუფსა და სატელეფონო გამოკითხვაში მონაწილე ფერმერებმა დაასახელეს კონკრეტული საკითხები, რომელიც ხელს უშლის მათ საქმიანობას. ფინანსების ნაკლებობა და ტექნიკაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა არის მთავარი ხელშემშლელი ფაქტორი ფერმერული მეურნეობებისათვის, შესაბამისად, განვითარებისათვის მთავარ პირობას წარმოადგენს ინფრასტრუქტურაზე, ტექნიკასა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. გამოკითხული ფერმერების უმეტესობა სოფლის მეურნეობის დარგში დარჩენასა და მეურნეობის გაფართოებას გეგმავს.

კვლევის შედეგად გამოვლინდა წალკის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის დარგის ძირითადი საჭიროებები:

- სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა;
- გასაღების ბაზრებზე წვდომის გაუმჯობესება;
- შეღავათიან აგროსესხებზე ხელმისაწვდომობის ზრდა;
- მესაქონლეობაში ახალი ჯიშების მოშენება;
- ფუტკრის ოჯახების შეძენა;
- მარცვლეული კულტურებისა და კარტოფილის სათესლე მასალის გაუმჯობესება;
- ადგილობრივი მეწარმეების წახალისება, მაგალითად, პროდუქტის ხარისხის ნიშნის და სტანდარტის დანერგვა;
- ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ტექნიკის რაოდენობის ზრდა;
- საგანმანათლებლო რესურსებზე გაუმჯობესებული წვდომა;
- უცხოური პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობა;
- საექსპორტო ბაზრებთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- პროდუქტის ბრენდინგთან დაკავშირებულ საკითხებზე ცოდნის გაუმჯობესება;
- სოფლის მეურნეობის დარგში ახალ მიმართულებებზე ინფორმირებულობის დონის ამაღლება;
- წარმატებული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გაზიარების მეტი შესაძლებლობა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებების

მხარდაჭერა წალკის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია. ამასთანავე, მნიშვნელოვანია მონათესავე დარგების (მაგ., როგორიცაა აგროტურიზმი) განვითარება და სექტორებს შორის კავშირების გაძლიერება. აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ხასიათდება კომპეტენტური სამუშაო ძალის ნაკლებობითა და შეზღუდული ინფრასტრუქტურით.

მართალია, კონკრეტული სექტორისთვის განსაზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს შესაბამის სექტორებს, თუმცა წალკის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ზრუნვა მოითხოვს ინტეგრირებული მიდგომების გათვალისწინებას და არა მხოლოდ რომელიმე ერთ სექტორზე ფოკუსირებას. აუცილებელია კომპლექსური მიდგომების გამოყენება, რომელიც მიმართული იქნება მთლიანად წალკის მუნიციპალიტეტზე და არა ცალკეული სექტორების განვითარებაზე.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ წალკის მუნიციპალიტეტში შესაძლებელია ეფექტიანი და ინოვაციური ტრენინგებისა და ინფორმაციის გავრცელების კამპანიების რეგულარული წარმოება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო და არასამთავრობო სექტორის ჩართულობით და შემდგომი მონიტორინგი, რადგანაც ასეთი ტიპის საქმიანობა შედარებით ნაკლებდანახარჯიანი ინტერვენციების სწრაფი და მაღალი უკუგების შესაძლებლობას იძლევა.

შენიშვნა: დეტალური კვლევის შედეგების გაცნობა შესაძლებელია პროექტის ფარგლებში ჩატარებული „წალკის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საჭიროებების კვლევა“-ში.

6. წალკის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის და კულტურული მემკვიდრეობის კვლევა

წალკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას საფუძვლად დაედო „ტურისტული პოტენციალის და კულტურული მემკვიდრეობის“ კვლევა.
წალკის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებასთან უშუალო კავშირში მყოფი რამდენიმე ეროვნული და რეგიონალური მნიშვნელობის სტრატეგიული დოკუმენტია, რომელიც **მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პროცესში, ერთგვარი სახელმძღვანელოს როლს ასრულებს. ესენია:**

- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „ეროვნული ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2015-2025 წწ“;
- საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული 2014-2021 წწ. ქვემო ქართლის რეგიონალური განვითარების სტრატეგია;
- „წალკის ტურიზმის განვითრების სტრატეგია 2016-2021“, რომელიც გაეროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის ორგანიზაციის (FAO) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობების განვითარების პროექტის ფარგლებში შემუშავდა.

ტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ წალკის მუნიციპალიტეტის

ყველა დასახლებულ პუნქტზე ვრცელდება კანონი მთიანი რეგიონების განვითარების შესახებ, რაც მნიშვნელოვან შეღავათებს უწესებს ადგილობრივი ტურისტული სერვისის მიმწოდებლებს.

6.1 წალკის მუნიციპალიტეტის ტურისტული რესურსები

ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები

წალკის მუნიციპალიტეტი თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე ხასიათდება თავისებური ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებით:

- დაშბაშის კანიონი - მდინარე ქციის მიერ ვულკანურ ლავებში გამომუშავებული კანიონი;
- ბარეთის ტბა;
- ოლიანგის (ბერთას) ვოკლუზი - ბუნების ძეგლი, ვულკანური წყებიდან გამომდინარე, დიდდებიტიანი ანკარა წყაროა, რომელზეც საუკუნეებია აგებულია ტაძარი და მოწყობილია ქვის აუზი;
- ჭიქიანის მთა - ჭიქიანის მთა ჩამქრალი ვულკანია, აგებული ნეოგენური ლიპარიტ-დაციტური ლავებით;
- წმ. სოფიას ხე (წალკის მუხა) - სოფელ დაშბაშში მდებარეობს წმ. სოფიას ხე, რომლის სავარაუდო ასაკი 500-600 წელია.

წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სხვა ბუნებრივი ობიექტებიდან, რომელიც საინტერესოა ტურისტული თვალსაზრისით, აღსანიშნავია: სოფელ ყიზილქილისას სიახლოვეს მდებარე ჯამუშის ტბა, მდინარე ჩილჩილის კანიონი და მცირე ჩანჩქერი სოფელ ბეშთაშენში. ცალკე აღნიშვნის ღირსია წალკის წყალსაცავი, რომელიც სარკის ფართობით საქართველოს უდიდესი წყალსაცავია.

კულტურული მემკვიდრეობა

წალკის მუნიციპალიტეტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიმრავალითა და მათი მნიშვნელობით, ერთ-ერთი გამორჩეული ადმინისტრაციულ–ტერიტორიული ერთეულია. კულტურის მატერიალური მემკვიდრეობა უმთავრესად წარმოდგენილია ტაძრებითა და მეგალითური ნაგებობებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორია ძალზედ მდიდარია არქეოლოგიური ობიექტებით – წალკის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი პეტროგლიფების მნიშვნელოვანი ნიმუშები. ძეგლთა დაცვის სააგენტოს მონაცემების მიხედვით, წალკის ტერიტორიაზე 600-ზე მეტი კულტურული მემკვიდრეობის ობეიქტია.

არამატერიალური კულტურა

გარდა მატერიალური კულტურის ძეგლებისა, წალკის მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან ტურისტულ რესურსს წარმოადგენს აქ არსებული არამატერიალური კულტურა. წალკაში მცხოვრები მრავალეთნიკური მოსახლეობა თავისი ტრადიციული სამზარეულოთი, ფოლკლორითა და ტრადიციებით არამატერიალური კულტურის მრავალფეროვნებას ქმნის. ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის უმრავლესობას წალკაში სვანები და აჭარლები წარმოადგენენ, შესაბამისად, წალკაში ჩასული ტურისტი სვანურ და აჭარულ კულტურასაც ეცნობა.

არსებული ტურისტული მარშრუტები

ტურისტული მარშრუტების ნაწილი კომბინირებულია და მოიცავს, როგორც საცხენოსნო, ისე საველოსიპედო და საფეხმავლო კატეგორიას. ამასთან, მარშრუტები მოიცავს როგორც უშუალოდ წალკის მუნიციპალიტეტის შიდა ტერიტორიას, ასევე – მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელ მიმართულებებს. მარშრუტების ნაწილი მარკირებულია საფეხმავლო მარშრუტების ტექნიკური რეგლამენტის წესების დაცვით, თუმცა ნაწილი მარკირებულია რეგლამენტის პრინციპების დარღვევით, მოძველებულია, ამიტომ აუცილებელია მისი განახლება. სამწუხაროდ, მარკირებული მარშრუტების ინფრასტრუქტურაც უმთავრესად მხოლოდ მანიშნებლებით შემოიფარგლება და მოკლებულია საპიკნიკე/საკემპინგე ადგილებსა და სამთო თავშესაფრებს, მათი სირთულისა და დისტანციის მიუხედავად.

მარშრუტის დასახელება	განმახორციელებელი ორგანიზაცია
ბუნების საოცრებიდან გერმანელების მემკვიდრეობამდე	UNFAO
თრიალეთის ისტორიის კარიბჭე	UNFAO
წალკის მეგალითური წარსული	UNFAO
მანგლისი - ჩოლიანი	ტურიზმის ერ. ადმინისტრაცია
რკონი - კლდეკარი - ჩოლიანი	ტურიზმის ერ. ადმინისტრაცია

6.2 დასკვნები და რეკომენდაციები

წალკის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელია რამდენიმე საკვანძო საკითხის მოგვარება, რომელიც, ძირითადად, ინფრასტრუქტურის მოწყობას, ახალი სერვისების ხელმისაწვდომობას, არსებულის გამოჯობესებასა და მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდას გულისხმობს.

აუცილებელია განთავსების საშუალებებისა და კვების ობიექტების ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით გაუმჯობესება. სხვადასხვა ტიპის განთავსების ადგილების განვითარების მიზნით (სასტუმროები, საოჯახო სასტუმროები), მნიშვნელოვანია ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. საჭიროა საკემპინგე ადგილების განვითარება, ტურისტული მარშრუტების ინფრასტრუქტურულად გამართვა, მუნიციპალიტეტში ტურისტული საინფორმაციო ცენტრის არსებობა, ტურისტული პაკეტების შექმნის სტიმულირება და სპეციალიზებულ ეროვნულ და საერთაშორისო სააგენტოებთან კონტაქტების გაღრმავება.

ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია დაინტერესებული მხარეების და ადგილობრივი თემის აქტიური ჩართულობა, რაც გამოიხატება ადგილობრივი პროდუქციის შექმნაში, ადგილობრივი მოსახლეობისთვის შემოსავლის მიღების ახალი გზების ძიებასა და ტურიზმთან დაკავშირებული ბიზნესისთვის მიმზიდველი გარემოს ჩამოყალიბებაში.
წალკის მუნიციპალიტეტში სასურველი მიზნების მიღწევისა და ტურიზმის სექტორის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიონალი კადრების არსებობა.

დღევანდელი მდგომარეობის გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება, სადაც ყველაზე მეტად არის საჭირო სათანადო უნარების განვითარება:

- ტურისტული რესურსების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით, ადგილობრივი მოსახლეობისთვის დაგეგმილი ტრენინგები;
- პოტენციური პროვაიდერებისთვის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილი ტრენინგები.

წალკის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი გამოკვეთილად სუსტი წერტილი მისი დაბალი ცნობადობაა. მნიშვნელოვანია რეგიონის პროფილის გაუმჯობესება, აუცილებელია ადგილობრივი ტუროპერატორების ბიზნესის განვითარება, რათა საერთაშორისო ოპერატორების მეშვეობით, განთავსების საშუალებების, ადგილობრივი ტურისტული მომსახურების მომწოდებლებისა და ტურისტებისათვის მიმზიდველი ადგილების პაკეტთან ერთად, შემომავალი ტურიზმიც განვითარდეს, რაც ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე ცნობადობის გაზრდას გამოიწვევს და ხელს შეუწყობს წალკის მუნიციპალიტეტის ტურისტული დანიშნულების ადგილად გარდაქმნას.

7. მუნიციპალიტეტის გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები

№	გამოწვევები	გადაჭრის გზები		
		საგრანტო პროექტი	შესაძლე-ბლობების გაძლიერება	ლობირება–ადვოკა-ტირება
1	**სოფლის მეურნეობა**			
1.1	ფერმერთა ცნობიერების/ცოდნის დაბალი დონე		●	
1.2	არასაკმარისი და არაკვალიფიციური კადრები		●	
1.3	მიწების ფრაგმენტაცია		●	●
1.4	დაურეგისტრირებელი მიწის ფართობები			●
1.5	განუვითარებელი სასოფლო-სამეურნეო ბაზრები	●	●	●
1.6	პირველადი წარმოების დაბალი პროდუქტიულობა	●	●	
1.7	განუვითარებელი გადამამუშავებელი მრეწველობა	●		
1.8	სარწყავი სისტემების არ ქონა	●		●
1.9	მცენარეთა და ცხოველთა დაავადებების გავრცელება		●	●
1.10	ეროზირებული სავარგულები	●	●	●
1.11	მექანიზაციის დაბალი დონე და არასაკმარისი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა	●	●	
1.12	ბუნებრივი საფრთხეები (მაგ: სეტყვა)	●		

პროცესში ჩართული და დაინტერესებული მხარეები:

- საქართველოს მთავრობა;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სააგენტო“ (ARDA);
- სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“;
- სსიპ „აწარმოე საქართველოში“;
- წალკის მუნიციპალიტეტის მერია;
- ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები;
- სოფლის მეურნეობის წარმოების საშუალებების მომწოდებლები;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები

წალკის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის SWOT ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, მის ძლიერ მხარეებად შეიძლება ჩაითვალოს წყლის რესურსებით სიმდიდრე და ნიადაგურ-კლიმატური მდგომარეობა, რომელიც ხელსაყრელ პირობებს ქმნის მესაქონლეობის, მეფრინველეობის, მეთევზეობის, მეფუტკრეობის, მებოსტნეობის, მეკარტოფილეობის, მემარცვლეობის და კენკრის წარმოების განვითარებისათვის. მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურად სუფთა გარემო და დედაქალაქთან სიახლოვე, შეღავათები, რომელიც მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთათვის ვრცელდება, ადგილზე ბიოწარმოების განვითარების საშუალებასა ქმნის.

№	გამოწვევები	გადაჭრის გზები		
		საგრანტო პროექტი	შესაძლე-ბლობების გაძლიერება	ლობირება–ადვოკა-ტირება
1	**ტურიზმის განვითარება**			
1.1	განუვითარებელი ინფრასტრუქტურა	●		●
1.2	ტურისტული სერვისების სიმწირე	●	●	
1.3	სასტუმროების და კვების ობიექტების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და სიმცირე	●	●	
1.4	ტურისტული საინფორმაციო ცენტრების არ არსებობა	●		●
1.5	კვალიფიციური ადამიანური რესურსების სიმცირე		●	
1.6	მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე		●	
1.7	მუნიციპალიტეტის ნაკლები პიარი		●	●
1.8	ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების ნაკლებობა		●	●
1.9	ენობრივი ბარიერი		●	

პროცესში ჩართული და დაინტერესებული მხარეები:

- საქართველოს მთავრობა;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“;;
- სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“;
- სსიპ „აწარმოე საქართველოში“;
- წალკის მუნიციპალიტეტის მერია;
- ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები;
- კერძო ბიზნესი;

№	გამოწვევები	გადაჭრის გზები		
		საგრანტო პროექტი	შესაძლე-ბლობების გაძლიერება	ლობირება–ადვოკა-ტირება
1	**არასასოფლოსამეურნეო საქმიანობა**			
1.1	განუვითარებელი ინფრასტრუქტურა	●		●
1.2	ბიზნესის ქაოსური წარმოება, დაურეგისტრირებელი ბიზნეს-საწარმოები;		●	●
1.3	ბიზნესის წარმოების, მარკეტინგის ცოდნის დაბალი დონე;		●	
1.4	უძრავი ქონების საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემები (დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთები)			●
1.5	კვალიფიციური ადამიანური რესურსების სიმცირე		●	
1.6	მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე		●	
1.7	მუნიციპალიტეტის ნაკლები პიარი		●	●
1.8	კრედიტებსა და სახელმწიფო პროგრამებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.	●	●	●
1.9	ენობრივი ბარიერი		●	

პროცესში ჩართული და დაინტერესებული მხარეები:

- საქართველოს მთავრობა;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- სსიპ „აწარმოე საქართველოში“;
- წალკის მუნიციპალიტეტის მერია;
- ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები;
- კერძო ბიზნესი;

წალკის მუნიციპალიტეტზე ვრცელდება მთის კანონით გათვალისწინებული ფინანსური შეღავათები, რაც ეკონომიკური, ბიზნეს საქმიანობის წარმოებისთვის ხელსაყრელი პირობების ქმნის.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის რესპუბლიკური მნიშვნელობის გზები, აგრეთვე მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზა, რომელიც ლოჯისტიკური თვალსაზრისით მუნიციპალიტეტს უპირატეს მდგომარეობაში აყენებს.

ადგილზე არსებული სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების პროდუქტები ქმნის ნედლეულს, ბაზას გადამამუშავებელი, კვების მრეწველობის განვითარებისთვის.

სფეროს SWOT ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი ძლიერი მხარეები (დედაქალაქთან სიახლოვე/გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი რესურსები/წიაღისეული, უნიკალური ლანდშაფტი, ბუნებრივი და ისტორიული ძეგლები, კლიმატი, ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები) მუნიციპალიტეტში ექსტრემალური, ველო, საცხენოსნო, ეკო, კულინარიული და აგრო ტურიზმის განვითარების საშუალებას უზრუნველყოფს.

№	გამოწვევები	გადაჭრის გზები		
		საგრანტო პროექტი	შესაძლე-ბლობების გაძლიერება	ლობირება–ადვოკა-ტირება
1	**გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება**			
1.1	წყლის რესურსების მდგრადი მართვა		●	●
1.2	ნარჩენების მდგრადი მართვა და მათი გადამუშავება	●	●	●
1.3	ბუნებრივი საფრთხეების შემცირება და მართვა	●	●	●
1.4	გარემოსდაცვითი განათლების გაუმჯობესება ადგილობრივ მოსახლეობაში	●	●	●
1.5	WaSH–ის საკითხები	●	●	●

პროცესში ჩართული და დაინტერესებული მხარეები:

- საქართველოს მთავრობა;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- გარემოს ეროვნული სააგენტო;
- წალკის მუნიციპალიტეტის მერია.";

პროექტის ფარგლებში ჩატარებული SWOT ანალიზის შედეგების მიხედვით, გარემოსდაცვითი მიმართულების თვალსაზრისით, დარგის ძლიერ მხარეებად გეოგრაფიული მდებარეობა და მიწის ნიადაგები, კლიმატი და სხვა ბუნებრივი რესურსები მიიჩნევა.

№	გამოწვევები	გადაჭრის გზები		
		საგრანტო პროექტი	შესაძლე-ბლობების გაძლიერება	ლობირება–ადვოკა-ტირება
1	**განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდები**			
1.1	საგანმანათლებლო, კულტურული დაწესებულებების ნაკლებობა	●	●	●
1.2	მოძველებული საგანმანათლებლო, კულტურული ინფრასტრუქტურა და ინვენტარი	●		●
1.3	კვალიფიციური/პროფესიონალი კადრების დეფიციტი		●	
1.4	სახელოვნებო წრეების ნაკლებობა	●		●
1.5	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების არ არსებობა	●	●	●
1.6	სკოლამდელი განათლების დაბალი დონე (არასაკმარისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები)		●	●
1.7	ნაკლებად აქტიური სამოქალაქო საზოგადოება		●	●
1.8	ბავშვთა შრომით საქმიანობაში ჩაბმა		●	●
1.9	უხარისხო ინტერნეტი		●	●
1.10	ენობრივი ბარიერი	●	●	●

პროცესში ჩართული და დაინტერესებული მხარეები:

- საქართველოს მთავრობა;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები და სკოლები;
- წალკის მუნიციპალიტეტის მერია.

აღნიშნული მიმართულების SWOT ანალიზისა და თემატურ ჯგუფებთან ჩატარებული საჭიროებების კვლევის შეხვედრების შედეგების საფუძველზე დაყრდნობით, მიმართულების მთავარ ძლიერ მხარედ მთის კანონით გათვალისწინებული ფინანსური შეღავათები დასახელდა. გარდა ამისა, ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კულტურის ცენტრი, ამ მიმართულებით განვითარების კარგ შესაძლებლობებს იძლევა. სამოქალაქო საზოგადოებაში მკაფიოდ არის გამოხატული ინტერესი და მოთხოვნა კულტურული თუ საგანმანათლებლო მიმართულებით ახალგაზრდების მაქსიმალურად ჩართულობის გზით.

№	გამოწვევები	გადაჭრის გზები		
		საგრანტო პროექტი	შესაძლე-ბლობების გაძლიერება	ლობირება–ადვოკა-ტირება
1	**ჯანდაცვა და სოციალური საკითხები**			
1.1	კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის ნაკლებობა		●	●
1.2	სუსტი სამედიცინო ინფრასტრუქტურა			●
1.3	სამედიცინო დაწესებულებების სუსტი ტექნიკური აღჭურვა	●		●
1.4	ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობა		●	●
1.5	განუვითარებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა (საზოგადოებრივი ტრანსპორტი)			●
1.6	შშმ პირებზე ადაპტირებული გარემოსა და ინფრასტრუქტურის არარსებობა და მათი ნაკლებად ინტეგრირება საზოგადოებაში	●		●
1.7	დღის ცენტრის არარსებობა	●		●
1.8	უმუშევრობა	●	●	●
1.9	წყალზე დაბალი ხელმისაწვდომობა	●		●

პროცესში ჩართული და დაინტერესებული მხარეები:

- საქართველოს მთავრობა;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები;
- წალკის მუნიციპალიტეტის მერია.

სახელმწიფო პროგრამები (საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა), მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური და არაფულადი დახმარებები, გარკვეულწილად, პასუხობს არსებულ გამოწვევებს, რაც განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, შშმ. პირებისთვის და სხვ.

№	გამოწვევები	გადაჭრის გზები		
		საგრანტო პროექტი	შესაძლე-ბლობების გაძლიერება	ლობირება–ადვოკა-ტირება
1	**გენდერული თანასწორობა და ქალთა ჩართულობა**			
1.1	ადრეული ქორწინება		●	●
1.2	მენტალიტეტი და სტერეოტიპები		●	●
1.3	მოსახლეობაში განათლებისა და ცნობიერების დაბალი დონე		●	
1.4	დისკრიმინაცია და ძალადობა ქალების მიმართ (ფიზიკური და ფსიქოლოგიური)		●	●
1.5	მუნიციპალიტეტში ქალთა ფორმალური და არაფორმალური გაერთიანებების არარსებობა	●	●	●
1.6	არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა	●		●
1.7	ქალების ნაკლები ჩართულობა/ მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში	●	●	●
1.8	წყალზე ნაკლები ხელმისაწვდომობა	●		●

პროცესში ჩართული და დაინტერესებული მხარეები:

- საქართველოს მთავრობა;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები;
- წალკის მუნიციპალიტეტის მერია.

წალკის მუნიციპალიტეტის მრავალეთნიკურობა, ტრადიციები, ასევე ქალთა პოტენციალი და გამოცდილება სოფლის მეურნეობაში, ხელსაქმეში, კულინარიასა და საქმიანობის სხვა სფეროებში, მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებში ქალთა აქტიური ჩართულობის შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

№	გამოწვევები	გადაჭრის გზები		
		საგრანტო პროექტი	შესაძლე-ბლობების გაძლიერება	ლობირება–ადვოკა-ტირება
1	**საჯარო მმართველობა**			
1.1	შეზღუდული ბიუჯეტი		●	●
1.2	არასაკმარისი კადრები		●	●
1.3	ენობრივი ბარიერი	●	●	●
1.4	ნეპოტიზმი			●
1.5	მოსახლეობასა და მერიას შორის კომუნიკაციის, კოორდინაციის ნაკლოვანებები		●	●

პროცესში ჩართული და დაინტერესებული მხარეები:

- საქართველოს მთავრობა;
- სახელმწიფო რწმუნებულის რეგიონული სამსახური;
- წალკის მუნიციპალიტეტის მერია.

ერთობლივი დაინტერესებული მხარეების შეხვედრების შედეგებისა და SWOT ანალიზის შედეგების მიხედვით, საჯარო მმართველობის ეფექტიანობის კუთხით, ერთ-ერთ ძლიერ მხარედ, საჯარო სამსახურებში ეთნიკური უმცირესობების მაღალი წარმომადგენლობითობა დასახელდა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი საჯარო სამსახურის მაღალი რანგის თანამშრომლების მზადყოფნა ურთიერთთანამშრომლობაზე თანამონაწილეობრივი გზით.

8. მონიტორინგი და შეფასება

წალკის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის მიხედვით დაგეგმილ აქტივობებსა და პროცესებზე დაკვირვებისათვის, ასევე მათი შეფასებისათვის მნიშვნელოვანია შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტური სისტემის შექმნა. იგი მიზნად ისახავს შეისწავლოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების შესრულების პროცესი, მიღწეული შედეგები და გამოავლინოს გამოწვევები.

მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელი ორგანო იქნება წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მმართველი საბჭო, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს მთლიან პროცესს: წალკის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას, მიზნების მიღწევას, სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის საჭიროებას და სხვა ამოცანებს.

გარდა ამისა, „წალკის ლაგის“ მმართველი საბჭოდან ცალკე დაკომპლექტდება საგრანტო პროექტების შეფასების კომისია, რომელიც შეაფასებს პროექტების შესაბამისობას სტრატეგიის მიზნებთან და პრიორიტეტულ მიმართულებებთან. აღნიშნული საქმიანობისთვის კომისია იხელმძღვანელებს საგრანტო სახელმძღვანელოდან, რომელიც წარმოადგენს პროექტების დაფინანსების გზამკვლევს, მოიცავს პროექტების შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტს.